ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  წევრის,
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული
თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის

## თინათინ ნიბლოშვილის

## ანგარიში

2021-2022 წლებში გაწეული მუშაობის  შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად, წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ჩემ მიერ 2021 წლის პირველი ნოემბრიდან 2022 წლის პირველ ნოემბრამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VI და VII მოწვევის საკრებულოს პროპორციული წესით არჩეული წევრის უფლებამოსილების ფარგლებში, გაწეული მუშაობის შესახებ.

2021 წლის პირველი ნოემბრიდან, ამავე წლის 2 დეკემბრის ჩათვლით ვიყავი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, ხოლო 2021 წლის 3 დეკემბრიდან დღემდე ვიკავებ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას და ამავდროულად ვარ:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;
- განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი;
- სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრი;
- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წევრი.

საკრებულოს წევრის კანონით განსაზღვრული კომპეტენციის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში ჩართული ვიყავი დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობაში, თბილისის მერიასა და სხვა ადგილობრივ/სახელმწიფო უწყებებში გამართულ სამუშაო პროცესებში - სხდომების, ოფიციალური და სამუშაო შეხვედრების მიმდინარეობაში, მათ შორის დისტანციურ რეჟიმში - პანდემიის პირობებში მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციის ონლაინ ფორმატი მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა პოსტპანდემიურ პერიოდშიც, მათ შორის მოქალაქეებთან ურთიერთობისას. კორესპონდენციის მართვის პროცესში ვხელმძღვანელობდი კანონმდებლობით დადგენილი ვადებით.

დედაქალაქის აღმასრულებელ ორგანოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, საანგარიშო პერიოდში თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობა მიეცა მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული საკითხების დადებითად გადაწყვეტას/დამტკიცებას, რომელთა ფარგლებში, საკრებულომ 121 დადგენილება და 712 განკარგულება მიიღო. მუნიციპალური საკითხების განსახილველად საანგარიშო პერიოდში დავესწარი ბიუროს 19 და საკრებულოს 18 სხდომას.

ქალაქის მასშტაბით კულტურის სფეროსა და თეატრალური პროექტების დაფინანსების, მემორიალური დაფისა და არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციების განთავსების, საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მინიჭების, ასევე სხვადასხვა საკონკურსო განაცხადების განხილვის მიზნით, წლის განმავლობაში ჩართული ვიყავი დედაქალაქის მერიაში არსებული შესაბამისი კომისიებისა და საბჭოს სამუშაო პროცესებში, რომელთა წევრიც ვარ:

- თეატრალური პროექტების განმხილველი კომისია;
- კულტურის სფეროს პროექტების განმხილველი კომისია;
- პროგრამის - „ შემოქმედებითი თბილისი“ - ფარგლებში წარდგენილი საკონკურსო განაცხადების განმხილველი კომისია;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების განმხილველი კომისია;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მიმნიჭებელი საბჭო.

## ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოში 2022 წლის 28 იანვრიდან, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ახალი შემადგენლობა, რომელსაც ზემოხსენებული თარიღიდან დღემდე ვხელმძღვანელობ. საბჭო 28 წევრითაა წარმოდგენილი ( 22 ქალი და 6 კაცი ).

დედაქალაქის საკრებულოში გენდერულ საკითხებზე მუშაობა 2014 წლიდან დაიწყო, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო 2016 წელს საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით შეიქმნა - დამტკიცდა საბჭოს დებულება და განისაზღვრა საბჭოს საქმიანობის წესი. ხსენებული პერიოდიდან საბჭო კოორდინაციას უწევდა/უწევს: ცენტრალური ხელისუფლების გენდერული პოლიტიკის ადგილობრივი მმართველობის პროცესში ასახვას, გენდერული მიმართულებით საკითხების სისტემურ შესწავლას, მათ შორის, არსებული პრობლემებისა და გამოწვევების შესაბამის გადაწყვეტას, მართვას და მონიტორინგს.

საბჭოს საქმიანობის წარმმართველ სხვა სამართლებრივ საფუძვლებს შორის აღსანიშნავია: მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის დოკუმენტი, სამოქმედო გეგმა და საბჭოს დებულება. საბჭოს უფლებამოსილებასა და ამოცანებს შორისაა:

- გენდერული თანასწორობის მისაღწევად, ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების რეალიზაციისათვის ცალკეული ღონისძიებების შემუშავება და დაგეგმვა;
- გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა, ასევე შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;
- გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის წარმართვა და სხვა.

მიმდინარე წელს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გენდერული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმის მზადების პროცესში არაერთი სხდომა და სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რის შედეგად დოკუმენტში შესაბამისი შესწორებები გაკეთდა.

სამოქმედო გეგმის პროექტის თანახმად, მასში ხუთი ძირითადი მიზანი განისაზღვრა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მდგრადი ინსტიტუციური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების გაძლიერება;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებისა და სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;
4. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული, მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მათი დახმარების უზრუნველსაყოფად.

დოკუმენტში ზემოაღნიშნული მიზნების განსახორციელებლად საჭირო ამოცანები და საქმიანობის ფორმები განისაზღვრა. სამოქმედო გეგმის მიხედვით, თითოეული ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანო/ები და პარტნიორი უწყებები, მიზნების/ამოცანების შესრულების ვადები და სხვა ინფორმაცია დეტალურად გაიწერა.

საბჭო, სამოქმედო გეგმის საფუძველზე შემუშავებული პროგრამული ღონისძიებების საშუალებით, ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების გაზრდას, ქალთა როლის მხარდამჭერი ინიციატივების განხორციელებას, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციას, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას.

2022 წლის 28 იანვრიდან 2022 წლის პირველ ნოემბრამდე გენდერული თანასწორობის საბჭოს 7 სხდომა და არაერთი სამუშაო შეხვედრა/აქტივობა გავმართეთ. სხდომებზე დღის წესრიგით გათვალისწინებული 11 საკითხი განვიხილეთ, ხოლო სამუშაო შეხვედრებზე გამოთქმული ინიციატივებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით საბჭოს სამომავლო აქტივობები დავგეგმეთ. საანგარიშო პერიოდში გენდერული თანასწორობის საბჭოს ფეისბუქ გვერდი შევქმენით და მიმდინარე წლიდან აღნიშნული გვერდის საშუალებით https://www.facebook.com/profile.php?id=100077935759606 ხელმისაწვდომია ინფორმაცია საბჭოს საქმიანობის შესახებ.

## გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომები:

სხდომა №1
1 თებერვალი, 2022 წელი

სხდომის დღის წესრიგი:

1. მეშვიდე მოწვევის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ახალი შემადგენლობის გაცნობა და საბჭოს ძირითადი ამოცანების მიმოხილვა.

სხდომის მონაწილეებს საბჭოს ახალი შემადგენლობა წარედგინა და საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში მისი ძირითადი ფუნქცია-მოვალეობებისა და ამოცანების განხილვა მოეწყო. საბჭოს წევრებს სიტყვით მიმართა მეექვსე მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ და გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელმძღვანელმა მარიკა დარჩიამ, რომელმაც  საბჭოს განვლილ საქმიანობაზე ისაუბრა. ასევე,  მერის მრჩეველმა გენდერულ საკითხებში, ნინო ბურძენიძემ, საბჭოს წევრებს თბილისის მერიის საქმიანობა გენდერულ ჭრილში გაგვაცნო.

სხდომა № 2
22 თებერვალი,  2022 წელი

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალთა ონკოლოგიური დაავადებებისა და სკრინინგის ცნობიერების გაზრდისთვის საინფორმაციო კამპანიის დაწყება.

სხდომაზე ინფორმაცია მოვისმინეთ ქალთა ონკოლოგიური დაავადებების პრევენციისთვის საინფორმაციო კამპანიის მნიშვნელობასა და საჭიროებაზე,  ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის უფასო სკრინინგისა და მკურნალობის ინდივიდუალური პროცედურების დაგეგმვის შესაძლებლობაზე, კიბოს დროული დიაგნოსტიკისა და პრევენციის შემთხვევაში  შესაძლო და არსებული რისკების შემცირებაზე.

სხდომა № 3
25 თებერვალი,  2022 წელი

სხდომის დღის წესრიგი:

1. გენდერული თანასწორობის ფარგლებში თბილისის მერიაში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიშის მოსმენა.

საბჭოს წევრების წინაშე ანგარიშით წარდგა დედაქალაქის მერის მრჩეველი გენდერულ საკითხებში, ნინო ბურძენიძე და სხდომის მონაწილეებს გენდერული თანასწორობის ფარგლებში თბილისის მერიაში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია გაგვაცნო. ანგარიშში ყურადღება დაეთმო დაგეგმილი ღონისძიებების, გენდერული ბიუჯეტის, "გენდერული თანასწორობის შესახებ" კანონისა და ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ ევროპული ქარტიის მიმოხილვას.

სხდომა № 4
9 ივნისი, 2022 წელი

სხდომის დღის წესრიგი:

1. გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის განხილვა.

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო წილოსანმა, საბჭოს წევრებს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია წარმოგვიდგინა, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებსა და აღსრულების პროცესს განსაზღვრავს. მან ქალთა ეკონომიკური მდგომარეობისა და უფლებების გაძლიერების საერთაშორისო და ეროვნულ მექანიზმებზე, ქალების ძალადობისგან დაცვასა და სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნულის რეალიზებისათვის აუცილებელი სერვისების მიწოდებაზე ისაუბრა.

სამოქმედო გეგმის განხილვას ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რომელთაც, სიტყვით გამოსვლისას ყურადღება გაამახვილეს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციაზე; გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებზე; ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საქართველოს ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე.

სხდომა № 5
16 სექტემბერი, 2022 წელი

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმის დეტალური განხილვის დაგეგმვა;
2. ნოემბრის თვეში, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებების მიმოხილვა;
3. „ვარდისფერი ოქტომბრის“ ფარგლებში დასაგეგმი აქტივობების მიმოხილვა.

სხდომაზე მსჯელობა გაიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმის მზადების პროცესზე. ყურადღება სამოქმედო გეგმის პროექტში არსებულ ხუთ ძირითად მიზანზე გამახვილდა და მის დეტალურ განხილვასთან დაკავშირებით უმოკლეს ვადებში საბჭოს სხდომები ჩაინიშნა. სხდომის მონაწილეებს ინფორმაცია მიეწოდათ საბჭოს მიერ „ვარდისფერი ოქტომბრის“ ფარგლებში დასაგეგმი აქტივობებისა და ნოემბრის თვეში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად 16 დღიან კამპანიასთან დაკავშირებით ჩასატარებელ ღონისძიებებზე.

სხდომა № 6
20 სექტემბერი, 2022 წელი

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმის დეტალური განხილვა.

სხდომაზე თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმის პუნქტების დეტალური განხილვა გაიმართა. საბჭოს წევრებმა გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის გაძლიერებაზე, გენდერული სტატისტიკის როლის ამაღლებაზე, გენდერული აუდიტის უზრუნველყოფაზე, მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის მექანიზმების დამკვიდრებაზე, სამართლებრივი აქტების გენდერული ექსპერტიზის აუცილებლობასა და სხვა მნიშვნელოვან ამოცანებზე ვიმსჯელეთ, რის შედეგადაც, სამოქმედო გეგმის პროექტში შესწორებები შევიტანეთ.

სხდომაზე გამოითქვა ინიციატივა, გენდერული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის დოკუმენტის დამუშავების, დამტკიცებისა და აღსრულების პროცესის ეფექტური მართვის მიზნით, გენდერული მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული, საკონსულტაციო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით,

სხდომა № 7
23 სექტემბერი, 2022 წელი

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმის დეტალური განხილვა;
2. საბჭოს მიერ სამომავლო აქტივობების დაგეგმვა;
3. ძუძუს კიბოს პრევენციის მიზნით დასაგეგმი აქტივობების მიმოხილვა.

სხდომაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმის მორიგი დეტალური განხილვა მოეწყო და გარკვეული პუნქტები დაკორექტირდა. მსჯელობა გაიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მათი დახმარების უზრუნველსაყოფად ეფექტური მექანიზმების დანერგვაზე. დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია, დედაქალაქის აღმასრულებელი ორგანოს სამსახურების წარმომადგენლებთან ბიუჯეტის გენდერულ ჭრილში გადანაწილების შესახებ ინფორმაციის მოსმენის მიზნით, შეხვედრების დაგეგმვაზე.

სხდომაზე გამოითქვა ინიციატივა, სკრინინგის დროულად ჩატარების მოწოდებით ვიდეორგოლების გადაღებაზე, აღნიშნული ვიდეომოწოდებების საბჭოს წევრთა მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებასა და სკრინინგის ჩასატარებლად ეროვნულ სკრინინგ ცენტრებში საბჭოს წევრთა მიერ ორგანიზებული ვიზიტის უახლოეს პერიოდში დაგეგმვაზე.

**საინფორმაციო კამპანია “ შენი სიცოცხლე შენს ხელშია“**

გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ წლის განმავლობაში ინიცირებულ ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია საინფორმაციო კამპანია "შენი სიცოცხლე შენს ხელშია“, რომლის მიზანი ქალთა ონკოლოგიური დაავადებებისა და სკრინინგის ცნობიერების გაზრდა გახლდათ. კამპანია საბჭოს ინიციატივით, „ევროპა დონა საქართველოსა“ და ეროვნული სკრინინგ ცენტრის ჩართულობით დაიგეგმა.

სკრინინგის ჩატარების აუცილებლობა, დროული დიაგნოსტიკა და პრევენცია, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და მათი გავრცელების შეზღუდვა, მკურნალობის დროული დაწყება და რისკების შემცირება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტთა მოტივაცია და მათ მიმართ სოლიდარობის გამოხატვა იყო საინფორმაციო კამპანიის ყველა ღონისძიების/აქტივობის, სხდომისა და სამუშაო შეხვედრის მთავარი გზავნილი, რომელიც საბჭოს ფარგლებში დაიგეგმა და მისი ეგიდით წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს გაიმართა. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ კამპანიას საეთერო დრო არაერთ მედიასივრცეში დაეთმო, რომელთა საშუალებით ღონისძიების ინიციატორებს შესაძლებლობა მოგვეცა, კამპანიის მიზნებისა და მნიშვნელობის შესახებ ინფორმაცია ფართო აუდიტორიისათვის მიგვეწოდებინა.

კამპანია მიმდინარე წლის მაისში თბილისის საკრებულოში გამართული პრეზენტაციით დავიწყეთ და საზოგადოებას მის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები ვაცნობეთ. მათ შორის: საჯარო უწყების თანამშრომლებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებისა და სკრინინგის ჩატარება, საკრებულოს თანამშრომლებისა და ბენეფიციარების ერთობლივი სპორტული აქტივობები, ფოტო კამპანია და სოციალურ ქსელში სხვადასხვა გამოწვევა. ცნობილი გახდა, რომ კამპანია რამდენიმე ეტაპს მოიცავს და მასში ჩართული იქნებიან როგორც საჯარო, ისე კერძო სტრუქტურის წარმომადგენლები. ღონისძიებას თბილისის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლები, ონკოლოგები, ბენეფიციარები, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კამპანიის ფარგლებში საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა ჩატარდა საბჭოს წევრებს, ,,ევროპა დონა საქართველოს“ ხელმძღვანელს, ანა მაზანიშვილს, ბენეფიციარებსა და საკრებულოს აპარატის თანამშრომლებს შორის. შეხვედრაზე ქალთა ონკოლოგიური დაავადებების პრევენციისა და სწორი მართვის შესახებ სარეკომენდაციო ხასიათის მითითებები მოვისმინეთ და სკრინინგის მეშვეობით ამ მხრივ არსებული რისკების თავიდან აცილებაზე ვიმსჯელეთ.

ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის მიზნით, თბილისის ლისის ტბის ტერიტორიაზე ,,ვარდისფერი მარათონი“ გაიმართა, სადაც ფეხითა და ველოსიპედით გარბენი მოეწყო. მარათონის პარალელურად,

სკრინინგის ჩატარების აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე საინფორმაციო შინაარსის ბროშურები დარიგდა, რის შემდგომაც, მარათონში მონაწილეთა ფოტოსესია შედგა. აღნიშნულ აქტივობაში მონაწილეობა მივიღეთ თბილისის საკრებულოს, „ევროპა დონა საქართველოს“, ეროვნული სკრინინგ ცენტრის წარმომადგენლებმა და ბენეფიციარებმა.

ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტთა თანადგომისა და მოტივაციისთვის, კამპანიის „შენი სიცოცხლე შენს ხელშია“ ფარგლებში, დედაენის ბაღში მათ მიერ, ასევე მათი ოჯახის წევრებისა და მხატვრების მიერ სხვადასხვა დროს შექმნილი ხელნაკეთი ნივთებისა და ფერწერული ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა მოვაწყვეთ.

## კამპანია „ვარდისფერი ოქტომბერი“

გენდერული თანასწორობის საბჭო, მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში, ძუძუს კიბოს წინააღმდეგ ბრძოლისა და ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო კამპანიას „ვარდისფერი ოქტომბერი“, „ევროპა დონა საქართველოსა“ და ეროვნული სკრინინგ ცენტრის ჩართულობით, არაერთი აქტივობით შეუერთდა. კამპანია ოქტომბრის დასაწყისში, თბილისის ანძის ვარდისფერ ფერში განათებით დაიწყო.

მორიგი აქტივობა სოციალურ ქსელში გავმართეთ, სადაც კამპანიის მონაწილეთა მიერ ხელის გულზე დახატული, ძუძუს კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოს, ვარდისფერი ლენტის ფოტოები გავაზიარეთ.

ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტთა მიმართ სოლიდარობის გამოხატვის მიზნით, კამპანიის ფარგლებში, თავისუფლების მოედანზე წმინდა გიორგის მონუმენტის გარშემო ცოცხალი ჯაჭვი შევკარით. ღონისძიებაზე საინფორმაციო ხასიათის ბროშურები დარიგდა.

## სხვადასხვა აქტივობები გენდერული თანასწორობის საბჭოს ფორმატში

სამუშაო შეხვედრები გავმართე გენდერული მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების: „ქალები ცვლილებებისთვის“ და "დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი” (ICDI) წარმომადგენლებთან, რომელთა მიზანი სამომავლო თანამშრომლობის ფორმატის განსაზღვრა იყო. შეხვედრები გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული გამოწვევების განხილვას დაეთმო. მსჯელობა გაიმართა ქალთა პოლიტიკური გაძლიერების მექანიზმებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში ქალთა თანაბარ ჩართულობაზე.

დედაქალაქის რაიონულ გამგეობებში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ასევე თბილისის მერის მრჩეველი გენდერულ საკითხებში, ნინო ბურძენიძე ესწრებოდა. გამგეობების წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს შეხვედრაზე გამოთქმულ არაერთ ინიციატივას. მათ შორის, მზადყოფნა გამოთქვეს ქალთა ონკოლოგიური დაავადებების ცნობადობის ამაღლების მიზნით დაგეგმილ კამპანიაში აქტიური მონაწილეობის მიღებაზე.

გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით თბილისის საკრებულოში, ეთნიკური უმცირესობების თემის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელზეც მიმდინარე პროექტებისა და ისეთი აქტუალური საკითხების განხილვა შედგა, როგორიცაა: ნაადრევი ქორწინება, ოჯახში ძალადობა, ქალების უფლებების დაცვა, ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერება. შეხვედრის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშემწყობი აქტივობები დაიგეგმა.

## განათლებისა და კულტურის კომისია

დედაქალაქის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სამუშაო პროცესი იმ საკითხების განხილვას დაეთმო, რომლებიც კომისიის საქმიანობის მთავარ თემებს/მიმართულებებს წარმოადგენს. ესენია: თბილისის მუზეუმების გაერთიანება, თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება, თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოები, თბილისის მუნიციპალური თეატრები, თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი და სასახლე, თბილისის სახელოვნებო სკოლები, თბილისის პანთეონები, სკოლების სახელდება, მემორანდუმები და ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა. საანგარიშო პერიოდში, სხვადასხვა დროს გამართულ სხდომებზე, კომისიამ მხარი დაუჭირა არაერთი კულტურულ-

საგანმანათლებლო პროგრამის/პროექტის დამტკიცებასა და სხვა მნიშვნელოვანი ინიციატივების განხორციელებას.

განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში გამართული სხდომებიდან მონაწილეობა მივიღე 14 მათგანის მუშაობასა და 43 საკითხის განხილვაში. მათ შორის აღსანიშნავია: დედაქალაქის 2021-2022 წლების ბიუჯეტ(ებ)თან დაკავშირებული საკითხები, სხვადასხვა მუნიციპალური სამსახურების საქმიანობის ანგარიშების განხილვა და მათ მიერ დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა, სკოლის სახელდება და სხვა.

მუნიციპალიტეტის მხრიდან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი უკრაინელი მოქალაქეებისათვის შეღავათის დაწესება, რომლის თანახმად, სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში რეგისტრაცია შესაძლებელი გახდა გამარტივებულად, ელექტრონული ფორმის შევსების გარეშე.

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით, კომისიის სამუშაო პროცესი დაეთმო საგანმანათლებლო სფეროში შესაბამის წესში შესატან ცვლილებას - სტუდენტთა დაფინანსების არსებულ პროგრამას ახალი კომპონენტი დაემატა, რომლის თანახმად, შესაძლებელი გახდა თბილისში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტებისა და შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე სტუდენტების სწავლის დაფინანსება (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა).

საანგარიშო პერიოდში კომისიამ განიხილა მუნიციპალიტეტის ინიციატივა ა(ა)იპ „მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის“ დაფუძნების თაობაზე. მშენებლობის დასრულების შემდგომ, დედაქალაქის ორ ლოკაციაზე (დიდი დიღომი, ვარკეთილის ტერიტორია) განთავსებული ცენტრი უზრუნველყოფს ახალგაზრდების არაფორმალურ განათლებას, კულტურულ-შემოქმედებით და სპორტულ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას.

კომისიამ მხარი დაუჭირა მემორიალური დაფის განთავსების წესში შესატან ცვლილებას, რომელშიც საგამონაკლისო ნორმა გაჩნდა. ცვლილების თანახმად, მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის განხილვა შესაძლებელი გახდა პიროვნების გარდაცვალებიდან 5 წელზე ადრე. საგულისხმოა, რომ არსებული რეგულაცია მსგავს შესაძლებლობას არ იძლეოდა, მიღებულმა გადაწყვეტილებამ კი აღნიშნული საკითხის მართვა მნიშვნელოვნად გაამარტივა.

განათლებისა და კულტურის კომისიამ დადებითად შეაფასა პოეტის, გენო კალანდიასა და თბილისელი მხატვრის, გაიანე ხაჩატურიანის საცხოვრებელი სახლების ფასადებზე მემორიალური დაფების განთავსების საკითხები.

კომისიამ იმსჯელა სსიპ ქალაქ თბილისის №220 საჯარო სკოლისთვის აფხაზეთის ომის გმირის, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენოსნის, ლეიტენანტ ზურაბ ძამუნაშვილის სახელის მინიჭებაზე, რომელიც დადებითი რეკომენდაციით გადაეცა თბილისის საკრებულოს, რის შემდეგაც, საბოლოო გადაწყვეტილების

მიღებისათვის, აღნიშნული საკითხი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნება.

სხვადასხვა დროს კომისიის სხდომებზე მოვისმინეთ წლიური ანგარიშები და ინფორმაცია სამომავლო პროექტების/გეგმების შესახებ, მათ შორის: ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების, ა(ა)იპ „მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“, ა(ა)იპ „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ 2021 წლის საქმიანობის ანგარიშები და სხვა.

დედაქალაქის აღმასრულებელ ორგანოსთან კოორდინაციით, საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიის წევრებს უწყვეტად მოგვეწოდებოდა ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ 2021-2022 წლებში დედაქალაქის მერიის ბიუჯეტ(ებ)ის შესაბამისი პროგრამებით/ქვეპროგრამებით დაფინანსებულ - განხორციელებულ და მიმდინარე კულტურულ, საგანმანათლებლო, სახელოვნებო და სხვა პროგრამებსა და პროექტებზე.

მიმდინარე წელს თანამედროვე და კლასიკური მუსიკის, ფოტოგრაფიის, ლიტერატურის, კედლის ხელოვნების, კინოსა და სხვა მიმართულებებით არაერთი ფესტივალი დაფინანსდა, მათ შორის, „შემოდგომის თბილისი“, „ქოლგა“, „თბილისი ოფენ ეარ“ და სხვა. ასევე - დედაქალაქის სკვერებსა და პარკებში, „თბილისის ცის ქვეშ“ ეგიდით გამართული სხვადასხვა ჟანრის კულტურული ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდში სწავლის საფასური დაუფინანსდა უმაღლესი განათლების მიმღებ სოციალურად დაუცველ, წარმატებულ, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრ სტუდენტებს, ხოლო არაფორმალური განათლების სფეროში - ხელოვნების სხვადასხვა სკოლებში სასწავლო-შემოქმედებით პროცესებში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე და არამოთხოვნადი სპეციალობების მოსწავლეებს.

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისთვის გრძელდება დედაქალაქის მერიის ინიციატივით 2018 წლიდან ამოქმედებული პროგრამა “ისწავლე და დასაქმდი“, რომლის ფარგლებში, პროფესიულ კოლეჯებში (იკაროსი, სპექტრი, მერმისი, გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი) იშვიათი და მოთხოვნადი პროფესიები ფინანსდება - თბილისში რეგისტრირებული, სამსახურის მაძიებელი მოქალაქეების პროფესიული მომზადება/გადამზადებისა და დასაქმების მიზნით.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ფილიალების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები და მათი ინვენტარით აღჭურვა, ასევე მახათას მთაზე მდებარე ახალ პანთეონში არსებული სამარხების მოპირკეთება და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

სამუზეუმო რეფორმისა და მოდერნიზების გზაზე, პანდემიის მიუხედავად, შეუფერხებლად საქმიანობდა თბილისის მუზეუმების გაერთიანება როგორც ინფრასტრუქტურული სამუშაოების წარმოების, ასევე ონლაინ გამოფენების გამართვის კუთხით.

თბილისის მუზეუმების გაერთიანებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სიახლე, რომელიც გულისხმობს, დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს მხარდაჭერით, თოჯინებისა და სათამაშოების მუზეუმის - უნიკალური ექსპონატების თბილისის საკრებულოს ისტორიულ შენობაში განთავსებას.

განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სხდომების, სამუშაო და ოფიციალური შეხვედრების პარალელურად ჩართული ვიყავი  კომისიის მიერ გამართულ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებსა  და აქტივობებში.

## სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია

მიმდინარე წელი მნიშვნელოვანი იყო დედაქალაქში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდების - უსახელო ობიექტების დამისამართების,  ობიექტებისათვის სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის სახელის, ასევე ისტორიული მოვლენის/თარიღის მინიჭების მხრივ. ზემოაღნიშნული თემებისა  და  სახელდებისა და სიმბოლიკის  კომისიის საქმიანობის სფეროში შემავალი სხვა საკითხების განხილვის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, კომისიის მიერ გამართული სხდომებიდან ჩართული ვიყავი 10 მათგანის მუშაობაში. შევისწავლე 132 საკითხი. სამუშაო პროცესში ობიექტების სახელდებისა და სხვა საკითხების ინიცირებას, კანონმდებლობის შესაბამისად, ახდენდა როგორც  კომისია, ასევე  დაინტერესებული  მხარე/მოქალაქე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საკითხების საჯარო განხილვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობას.

საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ 94 ობიექტის სახელდება განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს ომში გმირულად დაღუპულ მეომართა სახელები  ეწოდა  თბილისში არსებულ არაერთ გეოგრაფიულ ობიექტს, რომელთა შორისაა ეროვნული გმირების - გიორგი ანწუხელიძის სახელობის სკვერი, ალექსანდე ონიანის ქუჩა და სხვა. კოჯრის მისადგომებთან  გაიხსნა ასევე  ქვეყნის გასაბჭოების თარიღის, 1921 წლის 25 თებერვლის მოვლენებთან დაკავშირებული, ქართველი იუნკერის, მაკარ ბურჭულაძის ქუჩა, დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში მდებარე ქუჩებს  კი  1989 წლის 9 აპრილის მოვლენების  დროს  დაღუპულთა სახელები მიენიჭა.

კომისიის გენდერული პოლიტიკის ფარგლებში, სახელდების პროცესში გათვალისწინებული იყო ასევე ქართველ ქალთა გვარ-სახელები. საანგარიშო პერიოდში თბილისში გაჩნდა პირველი ქართველი მფრინავი ქალის, ფადიკო  გოგიტიძის, პოეტ მარიკა ბარათაშვილის, საზოგადო მოღვაწის სოფიო ყულოშვილის, გორის

სამხედრო ნაწილის დაბომბვისას დაღუპული ნატალია სამქანაშვილისა და 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების დროს დაღუპული ქართველი ქალების სახელობის ქუჩები.

მიმდინარე წლიდან, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის საქმიანობის შედეგად, დედაქალაქის სხვადასხვა უბნებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტები ქართველ საზოგადო მოღვაწეთა, კულტურის სფეროს წარმომადგენლებისა და სხვა ცნობილი ადამიანების სახელებს ატარებენ, მათ შორისაა: გია ყანჩელის ქუჩა, თემურ წიკლაურის სკვერი, დავით წერედიანის ქუჩა, ჯანსუღ კორძაიას ქუჩა და სხვა. შესაბამისი პროცედურული სამუშაოების დასრულების შემდგომ კი, უახლოეს პერიოდში მუნიციპალიტეტს შეემატება: ანზორ ერქომაიშვილის, რეზო გაბრიაძის, გიგა ბათიაშვილის, გურამ დოჩანაშვილის, გურამ საღარაძის, ჯემალ ჭკუასელის და სხვათა სახელობის გეოგრაფიული ობიექტები.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია, უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, აქტიურ კოორდინაციაში იყო შესაბამის სახელმწიფო სამსახურებთან, დედაქალაქის სხვადასხვა უწყებებსა და ორგანიზაციებთან, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებსა და პარტნიორ ქვეყნებთან. მიმდინარე წელს, კომისიის მიერ სახელმწიფო დროშის დღესა და სხვა ისტორიულ-სახელმწიფოებრივ თარიღთან დაკავშირებით, არაერთი აქტივობა გაიმართა.

## ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

საანგარიშო პერიოდში ჩართული ვიყავი ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ სამუშაო პროცესში. წლის განმავლობაში ჩატარებული სხდომებიდან დავესწარი 21 სხდომას და შევისწავლე 40 საკითხი. მათ შორის იყო დედაქალაქში მიმდინარე პროექტები: ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამა, სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში დაგეგმილი ცვლილებები და ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები, მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები, თბილისის მერიის სამსახურების საქმიანობის შესახებ ანგარიშების მოსმენა, დედაქალაქის 2021-2022 წლების ბიუჯეტ(ებ)თან დაკავშირებული საკითხები და სხვა.

## ანგარიშის ამ ნაწილში გამოვყოფ მიმდინარე წელს ჩემი ინიციატივით გამართულ ღონისძიებებს

### ღონისძიება საბავშვო წიგნების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

„თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ ფარგლებში, საკრებულოში ბავშვთა წიგნების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ცნობილი საბავშვო მწერლების: ლელა ცუცქირიძის, მარიამ წიკლაურის, გივი ჩიღვინაძის, თამარ გეგეშიძის ილუსტრირებული გამოცემები და საბავშვო ლიტერატურა. ასევე, მოეწყო ნინო ჩაკვეტაძის, სალომე ხოტივარისა და ლელა ცინაძის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა. ღონისძიებაზე საბავშვო სახლის „მომავლის გზა“ ბენეფიციარებს საკრებულოს წევრებმა და ღონისძიების სპონსორებმა, კომპანიებმა: „ბიბლუსი“, „ჭიტა“, „მელთი“, „საბავშვო კარუსელი“ წიგნები და საჩუქრები გადასცეს.

### პოეტ ტარიელ ხარხელაურის შემოქმედებითი საღამო

თბილისის საკრებულოში, ქართული პოეზიის დღის აღსანიშნავად, პოეტ ტარიელ ხარხელაურის შემოქმედებითი საღამო გაიმართა. საღამოზე მსახიობებმა ტარიელ ხარხელაურის ლექსები წაიკითხეს და მისი შემოქმედების შესახებ ისაუბრეს. ღონისძიებაზე ასევე სიტყვით გამოვიდნენ დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები და მოწვეული სტუმრები. ტარიელ ხარხელაურს თბილისის საკრებულოს სახელით მადლობის სიგელი გადაეცა. ღონისძიების დასასრულს, პოეტმა მისი შემოქმედებითი საღამოს ბანერზე, სამახსოვრო ავტოგრაფი დაგვიტოვა.

## მხატვარ შალვა ძნელაძის 130 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა

თბილისის საკრებულოში, თამარ მეფის სახელობის დარბაზში, მხატვარ შალვა ძნელაძის 130 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა მოეწყო. საღამოზე მხატვრის სახლ-მუზეუმის კოლექციიდან 50-ზე მეტი ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. მოწვეულმა სტუმრებმა ხელოვნის პროფესიული მიღწევებისა და შემოქმედების შესახებ ისაუბრეს. მხატვრის ღვაწლის დაფასების მიზნით, ღონისძიებაზე ცნობილი გახდა ინიციატივა, თბილისში ერთ-ერთი გეოგრაფიული ობიექტისთვის შალვა ძნელაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. შალვა ძნელაძის საიუბილეო გამოფენას თბილისის საკრებულოს წევრები, მხატვრის შთამომავლები, კულტურისა და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

## პროექტი ,,კინო ყველგან''

წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი გახლდათ ,,კინო ყველგან'', რომელიც ჩემი ინიციატივით, დედაქალაქის მერიის მხარდაჭერითა და საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრთან პარტნიორობით, ასევე საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატების აქტიური ჩართულობით განხორციელდა.

პროექტის მიზანი ქართული კინოს პოპულარიზაცია, ღია კინოჩვენებების დავიწყებული ტრადიციის აღდგენა და დედაქალაქის უბნებში კულტურული ცხოვრების ხელშეწყობა იყო.

თბილისის მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცა, მათსავე საცხოვრებელ უბნებში, დასვენებისთვის განკუთვნილ რეკრეაციულ სივრცეებში, ქართული კინემატოგრაფიის ნამუშევრები დიდ ეკრანზე ეხილა. მათ შორის იყო საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული, თანამედროვე ქართველი რეჟისორების, ასევე საქართველოს ეროვნული არქივისა და საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ ციფრულად რესტავრირებული ქართული კინოკლასიკის შედევრები. პროექტმა, რომელიც ივლისის თვეში დაიწყო, თბილისის სხვადასხვა უბნები მოიცვა და ის სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდა. პროექტის „კინო ყველგან“ ფარგლებში ექვსი კინოჩვენება მოეწყო, რომელთაც, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, თბილისის საკრებულოს, დედაქალაქის მერიის წარმომადგენლები და ქართული კინოს მსახიობები ესწრებოდნენ.

კინოჩვენებები გლდანის რაიონიდან დაიწყო. მეექვსე მიკრორაიონში მდებარე დიდ სკვერში შეკრებილ ადგილობრივ მოსახლეობას თანამედროვე ქართველი რეჟისორის, ლევან კოღუაშვილის ფილმი **“შემთხვევითი პაემნები“** ვუჩვენეთ.

საბურთალოს რაიონში, დიდ დიღომში მდებარე ახალ პარკში კი ახალგაზრდა რეჟისორის, მარიამ ხაჭვანის ფილმი **„დედე“** წარვადგინეთ.

მორიგი ჩვენება სამგორის რაიონში, ვარკეთილში, ზემო პლატოს ტერიტორიაზე მდებარე ხევის პარკში, აგვისტოს თვეში გაიმართა და 2008 წლის 8 აგვისტოს ომის თემატიკასთან დაკავშირებით, რეჟისორ დიტო ცინცაძის ფილმის **„ შინდისი“** ჩვენება მოეწყო.

ნაძალადევის რაიონში, ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკში შეკრებილ საზოგადოებას რეჟისორ თინათინ ყაჯრიშვილის ფილმი **„ჰორიზონტი“** შევთავაზეთ.

დიდუბის რაიონში, წყალტუბოს ქუჩა № 20-ის მიმდებარედ, ადგილობრივ მოსახლეობას საქართველოს ეროვნული არქივისა და საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ ციფრულად რესტავრირებული ქართული კინოკლასიკის ნიმუში, რეჟისორ ელდარ შენგელაიას ფილმი **„არაჩვეულებრივი გამოფენა“** ვუჩვენეთ.

სეზონის ბოლო ჩვენება ისნის რაიონში, არტურ ლაისტის ქუჩა № 3-5-7-ის მიმდებარედ მოეწყო. ღია სივრცეში შეკრებილ საზოგადოებას ამჯერადაც ქართული კინოკლასიკის შედევრი, ქართველი ქალი რეჟისორის, ნანა მჭედლიძის ფილმი **„პირველი მერცხალი“** წარვუდგინეთ. სიმბოლურია, რომ ჩვენება, ფილმის შინაარსიდან გამომდინარე, საფეხბურთო მოედანზე გაიმართა. აღნიშნული ფილმიც საქართველოს ეროვნული არქივის და საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ ციფრულად რესტავრირებული გახლდათ.

## ოფიციალური, სამუშაო შეხვედრები და სხვა

ოფიციალური მოწვევითა და სამსახურებრივი მივლინებით, დედაქალაქის საკრებულოსა და მერიის, ასევე პარლამენტის წევრებისგან შემდგარ დელეგაციასთან ერთად, მონაწილეობა მივიღე რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გამართულ ოფიციალურ შეხვედრებში. ბუქარესტი თბილისის ოცდამეორე დაძმობილებული ქალაქი გახდა - ხელი მოეწერა თბილისისა და ბუქარესტის დაძმობილების შესახებ ხელშეკრულებას, ბუქარესტის ერთ-ერთ პარკში კი შოთა რუსთაველის ბიუსტი საზეიმოდ გაიხსნა. ვიზიტის ფარგლებში ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობების განმტკიცებისა და სამომავლო მჭიდრო თანამშრომლობის მიზნით არაერთი შეხვედრა გაიმართა.

თბილისის საკრებულოში საქართველოს დედაქალაქთან დაძმობილებულ, საფრანგეთის ქალაქ ნანტის დელეგაციის წევრებს ვუმასპინძლეთ. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა დაძმობილებულ ქალაქებში გენდერულ, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროებში არსებულ სიტუაციაზე. საუბარი გაიმართა ორ ქვეყანას შორის არსებულ მრავალწლიან თანამშრომლობაზე, ერთობლივად განხორციელებული პროექტების შედეგებსა და სამომავლო გეგმებზე.

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა დროს დავესწარი ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მეშვიდე ასამბლეას, ასევე - კონფერენციას „გენდერული თანასწორობის პოლიტიკა ადგილობრივ დონეზე, ძირითადი გამოწვევები და სამოქმედო ნაბიჯები“, რომლის მიზანი ადგილობრივ თვითმმართველობებში გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერა იყო.

მონაწილეობა მივიღე ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის მიერ საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან (NALAG) თანამშრომლობით გამართულ სამუშაო შეხვედრებში, რომლებზეც შემდეგი საკითხების განხილვა გაიმართა: ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებათა მონაცემებისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება, გენდერული თანასწორობა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ეფექტიანი ადგილობრივი მმართველობისათვის.

ზემოაღწერილი ანგარიში, ჩემ მიერ 2021-2022 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ, საჯაროდ წარვადგინე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

პატივისცემით,

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე